წერილის ნომერი: **128-12822151171**
თარიღი: **31/05/2022**

ადრესატი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭო

ასლი:

ადრესატი: თამილა ფუტკარაძე
პირადი ნომერი: 61010005808
მისამართი: შუახევი ს. დღვანი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო

და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის

თავმჯომარეს ქალბატონ მარინე გვიანიძეს

ასლი: მოქალაქე თამილა ფუტკარაძეს პ/ნ 61010005808,

მისამართი: შუახევი,სოფელი დღვანი

ქალბატონო მარინე,

თქვენი, მიმდინარე წლის 3 მაისის N 09-02-12-ფ/208 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში 2016 წელს გაიხსნა ,,ქალთა ოთახი“ ღია სივრცე საზოგადოებითვის. პროგრამის მიზანი იყო მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალების ცნობიერების ამაღლება, სოფლად მცხოვრები ქალების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება და ჩართულობა როგორც საზოგადოებრივ ასევე პოლიტიკურ საქმიანობაში.

2019 წელს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიამ პირველად გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამა აამოქმედა, პროგრამის წლიური ბიუჯეტი 3900 (სამიათას ცხრაასი) ლარით განისაზღვრა. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის 11 თემში ჩატარდა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები, მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია გენდერულ ჭრილში დაგეგმილი ღონისძიებების და ქალთა ოთახში არსებული სერვისების შესახებ. ძალიან ბევრი ქალი დაინტერესდა აღნინული სერვისით. ქალთა ოთახში გვქონდა დაინტერესებული ქალების მომართვიანობა , რომლებსაც ჭირდებოდათ ხელშეწყობა სოციალ - ეკონომიკური გაძლიერების კუთხით. პროგრამის ფარგლებში ქალებს ჩაუტარდათ ტრენინგი ბიზნეს პროექტების მომზადებისთვის ,,როგორ ვაქციოთ იდეა - ბიზნეს პროექტად“, რომლის შემდეგ ახალბედა, დამწყები მეწარმეები სხვადასხვა საგრანტო კონკურსში იღებდნენ მონაწილეობას, თუმცა მასშტაბურიდან გამომდინარე ხშირად

რჩებოდნენ დაფინანსების გარეშე. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში გვყავს მეწარმე ქალები რომლებსაც ჭირდებათ ხელშეწყობა არსებულის გასაფართოებლად. პროგრამა ,,სოფლად მცხოვრები ქალების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების" მიმართულებით, დაეხმარება მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ქალებსა და ქალთა საინიციატივო ჯგუფებს მოახდინონ თავიანთი იდეების რეალიზება.

გამომდინარე აქედან, გვესაჭიროება თქვენი შუამდგომლობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან ფინანსების გამოყოფაში.

პატივისცემით,

ზაზა დიასამიძე

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი